ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№68. 68230062**

თარიღი:**06/01/2023**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 84^3-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,თ“ ქვეპუნქტების, 85^4-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახელებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500- ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2023 წლის 3 თებერვლის ჩათვლით, აგრეთვე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: petresharikadze@gmail.com

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ((ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

ა) თამაზი ჭიპაშვილი, მობილურის ნომერი: 599 85 26 23;

ბ) ხათუნა ჯობაძე, მობილურის ნომერი: 595 36 01 42;

გ) მზექალა გლუნჩაძე, მობილურის ნომერი: 599 22 57 13;

დ) ლევან გოგოლაძე, მობილურის ნომერი: 557 32 62 55;

ე) ბესიკ დალალიშვილი, მობილურის ნომერი: 593 11 19 18;

ვ) პაატა ბერაძე, მობილურის ნომერი: 557 77 14 47 ;

ზ) კახა კვინიკაძე, მობილურის ნომერი: 595 45 47 60;

თ) გელა მაღრაძე, მობილურის ნომერი: 599 85 26 25;

ი) სპარტაკ ლაცაბიძე, მობილურის ნომერი: 596 11 70 58:

კ) ზურაბ შუბითიძე, მობილურის ნომერი: 595 22 13 09;

ლ) ვეფხვია ვეფხვაძე, მობილურის ნომერი: 599 30 75 65;

მ) გიორგი კიკნაძე, მობილურის ნომერი: 557 15 55 72;

ნ) ავთანდილ თაბუკაშვილი, მობილურის ნომერი: 577 21 42 96;

ო) გურამ კურტანიძე, მობილურის ნომერი: 593 96 71 47;

პ) მაია გაჩეჩილაძე, მობილურის ნომერი: 511 15 39 34;

ჟ) რევაზ სხილაძე, მობილურის ნომერი: 595 19 73 29;

რ) ბესარიონ გრიგალაშვილი, მობილურის ნომერი: 599 25 30 71;

ს) გივი დოლიკაშვილი, მობილურის ნომერი: 599 111 546;

ტ) კახაბერ ლომიძე, მობილურის ნომერი: 557 29 49 44.

უ) პეტრე შარიქაძე, მობილურის ნომერი: 599 85 26 43;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 180 მუხლით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი